ცნობის ფურცელი

№ 2233 ორშაბათი, 11 აგვისტო. 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2233

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირი მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

3 მანეთი ღირს ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე

გიორგი ალექსანდრეს ძე, ალექსანდრე და ბეჟან როსტომის ძენი, ილარიონ და მიხეილ ალექსანდრეს ძენი საბახტარიშვილები, ათანასე ივანეს ძე და ალექსანდრე ეფრემის ძე ხოშტარიები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—საყვარლის მეუღლის, საბახტარიშვილები—რძლისა და უკანასკნელნი—ძმისწულის და დისა

კასსიანე (მობუ)' ეფრემის ასულის საბახტარიშვილისას,

რომლის დასაფლავება დანიშნულია თორმეტ ამა აგვისტოსათვის. ცხედარი გამოსვენებულ იქმნება საკუთარ სახლიდან ქ. ფოთში, ლიალინის ქუჩიდან საკათედრო ტაძარში, დილის ცხრა საათზე. (2—138—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

ზრ. ვ. ხოვოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

სამკურნალოს აქვს ორი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

სავალდებულო დადგენილება ქ. ბათუმისთვის

1. აკრძალულია ქუჩებსა, მოედნებსა, ვოკზლებსა და სხვა საზოგადო ადგილებში ხალხის ყრილობები და კრებები მოსალაპარაკებლად და ისეთ მოქმედებისთვის, რომელიც საზოგადო წეს რიგს და მშვიდობიანობას ეწინააღმდეგება. აკრძალულია აგრეთვე ცნობის მოყვარე ხალხის შეკრება.

2. შეკრებილნი მოვალენი არიან დაიშალნენ პოლიციის პირველ მოთხოვნილებისათანავე.

3. ვინც დაუყოვნებლივ პოლიციის მოთხოვნილებას არ დაემორჩილება, დაისჯება ადმინისტრატიულის წესით იმ დებულების თანახმად, რომელიც სახელმწიფო წეს-რიგისა და მშვიდობიანობის დაცვას შეეხება. დამნაშავეს ან 500 მანეთი ჯარიმა გადახდება ან იგი დეპატიმრებულ იქმნება სამის თვით. სასჯელის დადება მინდობია ბათუმის სამხედრო გუბერნატორისათვის.

4. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან.

ხელი მოაწერა: სენატორმა, გენერალ-ადიუტანტმა თავ. გოლიცინმა.

ახალი ამბავი

◆ „კავკაზ"-ში დაბეჭდილია ადმინისტრაციის მიერ გამოცემული **სამი სავალდებულო დადგენილება ქალაქ ბათუმისათვის.** ერთი შეეხება ქალაქში ჩასულთა და ქალაქიდან წასულთ. სახლისა, სასტუმროებისა, ყავახანებისა და სხვა დაწესებულების პატრონებმა უნდა აცნობონ პოლიციას, ვინ მოვიდა და ვინ წავიდა. დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ აგრეთვე პოლიციას თუ რომ იმათ სახლში მოხდა, მაგ., ნება დაურთველი კრება ან ყრილობა. ამავე დადგენილების ძალით, ბათუმში შემოღებულ იქმნა მეეზოვეთა ინსტიტუტი: სახლის პატრონებმა უსათუოდ უნდა იყოლიონ მეეზოვენი. მეორე სავალდებულო დადგენილება შეეხება მეეტლეებს. ყველა მეეტლეს მოწმობა უნდა ჰქონდეს. მეეტლემ დაუყოვნებლივ უნდა აასრულოს პოლიციის ყველა მოთხოვნილება. მესამე სავალდებულო დადგენილება შეეხება წესრიგის დაცვას და მშვიდობიანობის დამყარებას, რომელსაც ზემოდ ვბეჭდავთ.

◆ 9 აგვისტოს, შუადღისას, **კასპის მახლობლად კინაღამ დიდი უბედურება მოხდა.** კასპის სადგურიდან და მე-249 ვერსის ასაქცევიდან ერთსა და იმავე დროს გაუშვიათ სახალხო მატარებლები. როდესაც მატარებლები ერთმანეთს მიახლოვებიან, გზის დარაჯს ნიშანი მიუცია და, როგორც ყოფილა, გაუჩერებიათ მატარებლები. დაჯახებას სამი-ოთხი არშინი-ღა აკლდა თურმე. ამბობენ, მგზავრებმა 150 მანეთი მოჰკრიბეს და გადასცეს დარაჯს სანდრო შამანაურსაო.

◆ პოლიციის განკარგულებით, **დიდუბეში 40 მიკიტნის დუქანი დაიკეტა.** ამ დუქნების პატრონთ წინადადება მიეცათ ქალაქის სხვა ნაწილებში გაიღონ დუქნები.

◆ სასულიერო მთავრობის მიერ დაკანონებულია, რომ იმ სასულიერო წოდების პირთ, რომელნიც უმაღლესს სასულიერო სასწავლებელს ათავებენ და **რუსეთის განაპირა ადგილებში** მსახურებენ, ყოველ ხუთის წლის სამსახურის შემდეგ ჯამაგირი ემატებათ. აქამდე გამორკვეული არ იყო, ეს კანონი კავკასიაში მოსამსახურეთაც შეეხებოდა თუ არა. ეხლა უმაღლესმა მთავრობამ განმარტა, რომ აღნიშნული კანონი შეეხება ჩვენში მოსამსახურე სასულიერო პირთაც. კანონის გამოცემიდან ბევრს დღევანდლამდე არ უსარგებლნია ამ ჯამაგირებით. დღეს კი ასეთმა მოსამსახურეებმა ერთად მიიღეს 2000, 3000 მან. და სხვა.

◆ **ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიაში** მისაღები ეგზამენები მოხდება 26 და 27 აგვისტოს. თხოვნებს 15 აგვისტომდე მიიღებენ. მოსწავლეების ხელ-მეორედ გამოცდა მოხდება 22,23,25,26 და 27 აგვისტოს.

◆ **თელავიდან გვწერენ:** „14 თებერვალს თელავ-თიონეთის მაზრების თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა ხატი მიართვას კავკასიის მსროლელთა მეხუთე ბატალიონს, რომელიც ერევანში გადადის, და სადილი გაუმართოს. ეს დადგენილება 4 აგვისტოს მოიყვანეს სისრულეში. ამ დღეს მაზრის მარშალთან თავი მოიყარეს თავად აზნაურებმა. 12 საათზე ყველანი გაემგზავრნენ კაზარმისაკენ და გადასცეს ხატი, რომელიც 550 მან. დამჯდარა. თავად-აზნაურობამ ჯარი-კაცებს ამ დღეს სადილი გაუმართა კაზარმაში. დალიეს ერთმანეთის სადღეგრძელოები და წამოვიდნენ აფიცრებთან ერთად ჭანდარ ქვეშ სადილად".

◆ **თელავის მაზრაში,** როგორც გვატყობინებენ, ქირნახული გვიან შემოდის, შარშან ამ დროს ატამი და ლეღვი ძალზე მწიფე იყო, ხოლო ეხლა არც კი შემღვრეულა მოსაწევად. ყურძენიც გვიანა მწიფდება, ასე რომ წელს რთველი ბევრით გვიან იქნება შარშანდელზე.

◆ **ტფილისში ჩამოვიდა ორი მდიდარი** ამერიკელი ჰენრი როის ტრასკი და ბრუკსი. ამათ უნდათ ხე-ტყის წარმოებას შეუდგნენ ამიერ კავკასიაში. ამ ჟამად ამერიკელებს მოლაპარაკება აქვთ ტყის პატრონებთან.

◆ ბორჩალოს მაზრაში, სოფელ კიზილაჯლოს მახლობლად, როგორც „ნოვ. ობ."-ს ატყობინებენ, **ერთ კაცს გაუძარცვნია დილიჟანი,** რომელშიაც სამი კაცი ყოფილა. ამათთვის წაურთმევია 36 მანეთი ფულად, ვერცხლის საათი და ქამარი. ბოროტ-მოქმედს თოფი გაუსროლია, დილიჟნის ცხენი მოუკლავს და დილიჟანი ისე გაუჩერებია. პოლიციას შემდეგ შეუპყრია ეს კაცი. იგი ბორჩალოელი აღმოჩნდა—უმბატ-იბრაჰიმ-ხალილ-ოღლი.

◆ დუშეთის მაზრის სოფელ ხანდავას მცხოვრებთ ჰქონიათ 10 დესეტინა სახელმწიფო მიწა. ივლისში აზნაურ ზოტიკაშვილების თხოვნით გამმიჯვნელ მოხელეებს ეს ადგილი გამიჯვნის დროს ზოტიკაშვილებზე ჩაუწერიათ, რის გამოც ჩამოურთმევიათ ადგილები ხანდაველებისათვის. ხანდავის მცხოვრებთ არჩეულ კაცების ხელით შაბათს, 9 აგვისტოს, თხოვნა მიართვეს მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს და სთხოვეს, დანიშნოს კომისია, რომელმაც ადგილობრივ უნდა გამოიძიოს ამ ადგილის საქმე.

თეატრი

უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ქართულ-დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ რეჟისორად აარჩია თავ. აკაკი წერეთელი. თავ. აკაკის თანხმობა უკვე განუცხადებია, საჩხერიდან ამ დღეებში დაბრუნდება და შეუდგება სამზადისს სექტემბრის პირველ რიცხვებიდან.

—

თელავი. 3 აგვისტოს საქველ-მოქმედო თეატრში გაიმართა წარმოდგენა მ. აჯიამამუდოვის სასარგებლოდ. თუმცა სახელი ამისი იყო, მაგრამ წმინდა შემოსავალი გადაეცემა ტფილისის ერთ სომხურ დაწესებულებას, რომლის ინიციატივა ეკუთვნის ორიოდე აქაურ ყმაწვილ კაცს. ბილეთებს წინ და წინვე დაურიგეს ყიდვა, მაგრამ ხალხი მაინც იმდენი არ დაესწრო, რამდენიც მოსალოდნელი იყო, თუმცა მეორე პიესის დროს რაღაც მანქანებით მთელი თეატრი გაივსო. წარმოადგინეს ორი სამ-სამ მოქმედებიანი პიესა „ხანუმა" და „ფული და ხასიათი". მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ძმანი გამრეკელიძენი და აქაურ სცენის მოყვარენი. წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა. არტისტთა თამაშობაზე რისამე თქმა მეტია, მხოლოდ სცენის მოყვარეთ უნდა ახსოვდეთ, რომ სცენაზე უადგილოდ არ უნდა ხუმრობდნენ და იცინოდნენ. მობენეფისეს ბ-ნ აჯიამამუდოვს მიართვეს საჩუქარი, ხოლო გაბუნია-ცაგარლისას—თაიგული.

მაყურებელი.

წერილი ქვემო იმერეთიდან

სიმინდის მოსავალი.—ხილის სიმრავლე და ავადმყოფობანი.

ქვემო იმერეთში წელს სიმინდს კარგი პირი უჩანს. სწორედ სიამოვნებას მგვრის, რომ გადახედავ ზურმუხტად აშრიალებულ მაღალ ყანას. თითო ძირ სიმინდს სამ-ოთხი ტარო ასხია. მიზეზი ყანების სიკარგისა ის არის, რომ თავის დროზედ ჟუჟუნა წვიმა ესხმის თავზედ და ისედაც ნასუქებულ სიმინდს ზრდის და ადიდებს. ქვემო იმერლები კარგ მოსავალს ელიან და არც სცდებიან. აქაურები დაჩვეულნი არიან სიმინდის გაუხმობლად შენახვას: სიმინდს ცის ქვეშ მიწაზედ ჰყრიან. ხშირად წვიმა დასდის და მზე კი სრულებით არ გადაუვლის ხოლმე. ასე ნოტიოს ინახვენ სასიმინდეში. ამის გამო სიმინდი „ხურდება" და ბეპლად გამოდის. ბეპელა ჩნდება შიგ მარცვალში, ჭამს გულს, გამოჭრის და მერე გარედ გამოვა. აქა-იქ ვუთხარ გლეხებს, ბეპელად მისთვის გამოდის, რომ გაუხმობელს ინახავთ და ამის შემდეგ მაინც კარგი გამხმარი ჩაჭყარეთ სასიმინდეში-მეთქი. მაგრამ ჩემ სიტყვას ყურადღება არავინ მიაქცია. წელსაც ძალიან „იფუთქა" სიმინდმა, სულ ბეპლებათ არის გამოსული უმეტესი ნაწილი. მოხუცები მეორედ მოსვლის მოახლოვებას აწერენ ამას.

წელს ჩვენსკენ ძალიან ბევრია ნესვი, კიტრი—ეს ციებ ცხელების ამშლელნი—და, საზოგადოდ, ხილი. არ მახსოვს, რომ ოდესმე ამდენი ნესვი და კიტრი მოსულიყოს. საგსეა ქალაქები, სოფლები და დაბები. ამ ხილის სიმრავლის გამო ციებ-ცხელება, მუცელა და სხვა ამ გვარი ავადმყოფობა ხშირი სტუმარია იმერეთში ეხლა. თითქმის ყოველს მოსახლისას ჰნახავს ერთს მაინც (თუ მეტს არა!), ჭირიან ქათამივით აბუზულს ციებ-ცხელებით ავადმყოფ „ქალბატონს" ან „ბატონს".

როგორც ეტყობა, ღვინის მოსავალიც კარგი იქნება წელს. ქვემო იმერლები დიდ სიხარულში არიან.

მ—კო.

დაბა-სოფლები

—

სოფელი აძიუბჟა (აფხაზეთი). ისევ ცხოვრების სადუხჭიროზე უნდა დავიწყოთ: რა ვქნა, თუ ჩვენი სოფლის ცხოვრება არაფერს სანუგეშოს არ იძლევა. როგორც მკითხველს მოეხსენება, ჩვენს სოფელში არსებობს ძმათა მაქსიმოვების ხე-ტყის ქარხანა, რომელიც, მიუხედავად თავის ნაკლულევანებისა, ბევრს კაცს ლუკმა პურს აძლევს. ამ ქარხანაში აგერ მესამე თვეა, რაც შეჩერებულია მუშაობა სხვა მიზეზთა შორის მასალის უქონლობითაც. მხოლოდ 1 აგვისტოს დაიწყეს ხელ-ახლა მუშაობა. მაგრამ, თევზისა არ იყოს, ძალა უნებურად უნდა გავჩუმდე.

ჩვენს სოფელს ისევ ძველი მატლი გაუჩნდა—ქურდობა: ეს ჩვენი ცხოვრების გამათახსირებელი სენი ისევ ძველებურად—ჩვენებურად მოედო მთელს აფხაზეთს და ქვრივ ობოლთა წივილ-კივილისაკენ ყურთა სმენა აღარაა. საგულისხმოა ისაა, რომ როცა ადგილობრივი ადმინისტრაცია ენერგიულად დაუწყებს ქურდებს დევნას, ეს უკანასკნელნი უცბად მიჩუმდებიან, დასუსტდა პირველი ენერგია—ქურდ-ბაცაცები ადგილს წაიხსნიან და იწყებენ თარეშს.

ახალმა ცხოვრებამ ჩვენს აძიუბჟაში ახალი გვარი ავკაცობა წარმოშობა: აგერ გაიხედავ, იქ სადაც წინა დღით მელა-ტურაც მყუდრო ბინასაბუდარი ჰქონდა, ერთი ღამის განმავლობაში წამოჭიმულა პატარა ქოხი, რათა ამ ქოხის წყალობით სხვისი მიწა-მამული დაისაკუთროს. აგერ კიდევ ერთბაშად გამდიდრების წყურვილით შეპყრობილს თავისი უკანასკნელი გროშები მიაქვს და ვიღაცა კინტოს უყრის ხელში იმ იმედით, რომ ეს ვაჟბატონი ოქროს სრა-სასახლეებს აუშენებს, მაგრამ ჰქრება ოცნება და საწყალს კაცს ტანჯვითა და ოფლით ნაშოვნი გროშებიც ეცლება ხელიდან. ვიღაცა კინტო კი იმისი ფულებით ორთა-ჭალის ბაღებში დაფ-ზურნით ქეიფობს.

შური, მტრობა, ერთმანეთის გადაწყვა-განადგურება ხელობად გადაგვექცა. რაც შეეხება პირის გატეხვას, თამასუქის უარყოფას,—ამას ხომ საზღვარი არ აქვს. ამის შესახებ ერთმა ჩემმა ნაცნობმა მითხრა: ეხლაც ძველებურად ბალანს რომ იძლეოდნენ თამასუქის მაგიერ, არც ერთს ჩვენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განს არა თუ წვერ-ულვაში, თავზედაც ბალანი აღარ გვქონებოდათ. ოღონდაც! რასაკვირველია, ყველა ამას სასამართლოებში თრევა მოსდევს, მაგრამ ეს ხომ ჩვენ, ქართველთ, თანდაყოლილი სენად გადაგვექცა.

ჭამუთ-ბეგი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 აგვისტო

ნოვგოროდი. დღეს სასოფლო-სამეურნეო გამოფენას ჰხსნიან.

სტამბოლი. რუსეთის ესკადრის გაგზავნა ოსმალეთის ზღვაში სრულებით არ აშინებს აქაურ დიპლომატთა წრეებს. ესენი ჰფიქრობენ, ესკადრის გაგზავნა ხელს შეუწყობს რუსეთისა და ავსტრიის რეფორმათა შესრულებას, თორემ რევოლიუციონერთ მოძრაობამ ამ რეფორმათა განხორციელება მეტად შეაფერხა.

ბერნი. შვეიცარიის ელჩი პარიზში ლარდი, რომელიც მედიატორედ აირჩიეს ზოგიერთ სახელმწიფოსა და ვენეცუელას შუა დავის გადასაწყვეტად, იძულებული იყო უარეყო ეს არჩევა; ვაშინგტონის შეთანხმების მე-3 მუხლის თანახმად, ვერც ერთი ქვეშევრდომი იმ სახელმწიფოებისა, რომლებისაც ვენეცუელას ფული ჰმართებს, მედიატორედ ვერ დაინიშნება; რადგან შვეიცარია ადრე ვენეცუელას ფულს ედავებოდა და ეხლაც მოლაპარაკება აქვს გამართული იმის შესახებ, რომ შუა-კაცთა კომისია დაინიშნოს, ამიტომ ვერც ერთი შვეიცარიელი მედიატორობას ვერ იკისრებს, თუმცა ამნაირი არჩევანი ძლიერ სასახელოცაა შვეიცარიისათვის.

რომი. „ტრიბუნა“ ამბობს, იტალია ოსმალეთის ზღვაში გემებ მარტო სიფრთხილის გულისთვის ჰგზავნისო. სხვა გაზეთების ცნობით, იტალიის ხმელთა შუა ზღვის ესკადრის გემები სიცილიაში, პორტ-აუგუსტოში წავლენ და ჯერ-ჯერობით იქ მოიცდიან.

ლონდონი. ლორდ სოლსბერი უარესად ავად გახდა, გონება დაეკარგა.

პარიზი. ტერეზა ემბერისამ გამოაცხადა, კრაუფორდის ნამდვილი სახელი—რანიეა; რანიე ბისმარკისა და ბაზენის შუა-კაცი იყოო.

ზვენიგოროდი. გრენადერთა კორპუსის ალლუმზე დასასწრებლად, დიდი მთავრები სერგი ალექსანდრეს ძე და დიმიტრი პავლეს ძე, დიდის მთავრის მეუღლე ელისაბედ თეოდორეს ასული და დიდის მთავრის პავლეს ასული მარიამ 5 აგვისტოს კარალოვოში მივიდნენ. მათი უმაღლესობანი 6 აგვისტოს ეკატერინოსლავის პოლკის პარადს დაესწრნენ, 7 აგვისტოს მე-2 გრენადერთა დივიზიის ალლუმს და 9 აგვისტოს—დივიზიის ალლუმს ქალაქ ზვენიგოროდთან.

შანხაი. ჩინეთის რეფორმის პარტიის მიმდევრები, რომლებიც ამას წინად დაატუსაღეს, ეხლა ისევ გაანთავისუფლეს. ადგილობრივი პრესსა იუწყება, მეფის მოადგილე ჯანჯიდუნი ვუჩანგში დაინიშნებაო.

სტამბოლი. აქაური უმაღლესი წრეები, ეტყობა, დაფიქრებულნი არიან; ამ წრეებში აცხადებენ, პორტა ისეთ წესებს არ შემოიღებს მაკედონიაში, რომ ბოლოს ავტონომიის მიცემაც აუცილებელი გახდესო. პორტა ისევ უკიდურესობამდე ომს არჩევს, რადგან საქმე ევროპის არსებით ინტერესებს შეეხება, მით მაინც პორტას განზრახვა აქვს თანდათან დიდი რეფორმა მოახდინოს მმართველობის წესებში, რამ წამს რევოლიუციონერთა მოძრაობა ცოტათი მაინც შედგება.—ავსტრო-ჰუნგრეთის საელჩომ ბოლოს დროს არა ერთხელ მისცა წინადადება პორტას, აღმოსავლეთის რკინის გზები უფრო კარგად დაიცევითო, რადგან რკინის გზებზე მომხდარ უბედურებისაგან გაცეცხლებულმა ოსმალელ ჯარის-კაცებმა რკინის გზის მოსამსახურენი დახოცეს და სხვებსაც მუქარა შეუთვალეს. 8 აგვისტოს შესაფერისი ნოტა ჩააბარეს და იუსკიუბიდან აღმოსავლეთისაკენ ერთი რაზმი ჯარი გაჰგზავნეს ბოლგართ რაზმების სადევნელად კონჭარიის მიდამოებში. მეორე რაზმი ჯარი კიდე ელეშაუში გაჰგზავნეს უსკიუბის ჩრდილოეთით.

ბერდიანსკი. ყურძნის სეზონი დაიწყო; ყურძენი ძლიერ კარგია; ზღვაში კიდევ ბანაობენ; ტალახით სამკურნალო 20 აგვისტოს იხურება; 800-ზე მეტი ავადმყოფი იყო მოსული; სულ საზაფხულოდ 5 ათას კაცამდე იყო მოსული.

10 აგვისტო.

პეტერბურგი. მთავრობის შემდეგი განკარგულებაა გამოქვეყნებული: „მთავრობას ამბავი მოუვიდა, რომ სულთანს უბრძანებია შესრულება სულ ყველა მოთხოვნისა, რაც კი იმპერატორის კონსტანტინეპოლელმა ელჩმა პორტას წარუდგინა, ბიტოლიაში რუსეთის კონსულის მოკვლის გამო. ხელმწიფე იმპერატორმა ინიადაში მყოფ რუსულ გემებს სევასტოპოლში დაბრუნება უბრძანა.

როგორც რუსეთის ელჩისაგან მიღებულ ცნობებიდან სჩანს, პორტას შემდეგი ზომები მიუღია: იმპერატორის თხოვნის აღსასრულებლად, გარდა იმისა, რომ ორი ბოროტმოქმედი ჩამოახრჩეს, ორი ჟანდარმი კატორგაში გაჰგზავნეს, სამსახურიდან დაითხოვეს ორი აფიცერი, რომელთაც ცუდად მოიხსენიეს რუსეთის მიცვალებული კონსული, გარდა ამისა ეძებენ იმ პირებს, რომლებმაც სტატსკი სოვეტნიკის როსტკოვსკის ეტლს ესროლეს, დათხოვნილია და სამართალში მიცემულია ყველა მოხელეები, რიცხვით 24, რომლებიც ზინოვიევისაგან წარდგენილ სიაში არიან მოქცეულნი და ჩვენმა წარმომადგენლებმა ეჭვი შეიტანეს; სამართალში მიცემულნი არიან აგრეთვე ყველა კერძო პირები, რომლებიც იმავ სიაში არიან მოთავსებულნი და რომელთაც სხვა-და-სხვა დანაშაული ჰბრალდებათ. დაუბრუნდა წინანდელი თანამდებობა პალანკაში იზმაილხანკის, რომელიც, მიუხედავად რუსეთის უსკიუბელ კონსულის წარდგენისა, სამსახურიდან დაითხოვეს; ანთავისუფლებენ ყველა იმ პირებს, ვინც იმისთვის იყვნენ დაპატიმრებულნი, რომ მუსულმანების სიმხეცეებზე და მექრთამეობაზე იჩივლეს; მთავარ-ინსპექტორს ხილმი-ფაშას, რომელსაც ვალად ედვა რეფორმების შემოღება სამს ვილაეტში, საყვედური გამოეცხადა; სოლუნის ჟანდარმერიის და პოლიციის უფროსების ხაი-ხედდიკ-ბეისა და მახარ-ბეის ადგილას სხვები დანიშნეს; პორტამ განკარგულება მოახდინა, რომ ჟანდარმერიაში მოიწვიონ რამდენიმე უცხოელი ოფიცერი; მათ გვარებს გამოაცხადებენ. დასასრულ, ყველა სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს სასტიკად ებრძანათ, ზომები მიიღონ წესიერების და მშვიდობიანობის დასაცველად.—ბრიუსელიდან ცნობა მოვიდა, რომ პორტას მართლა უთხოვია ბელგიის მთავრობისათვის, ჩვენ ჟანდარმერიისათვის ოთხი ჟანდარმი გამოგზავნეთო.

სოფელი პაჩიცა. დილის მეათე საათზე სადგურ ტოროშინოდან მოვიდა სამეფო მატარებელი, რომელშიაც იმყოფებოდნენ ხელმწიფე-იმპერატორი, იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, დიდის მთავრის მეუღლე მარიამ პავლეს ასული და ოლგა ალექსანდრეს ასული, დიდი მთავრები ვლადიმერ ალექსანდრეს ძე და ბორის ვლადიმერის ძე, მინისტრები სამხედრო და სასახლისა და პსკოვის გუბერნატორი. ხელმწიფე იმპერატორმა ჩაუარა დამწკრივებულ მხედრობას, იმპერატრიცა-კი მატარებელში დარჩა. ხელმწიფემ და მათ უმაღლესობათ დაათვალიერეს ჯარები და შემდეგ რკინის გზის ლიანდაგს გაჰყვნენ.—ალლუმის შემდეგ მათნი უდიდებულესობანი ტოროშინოს წავიდნენ.

სტამბოლი. პორტასაგან რუსეთის მოთხოვნის 6 მუხლის მიღებისათანავე მოლაპარაკება დაიწყეს ბელგიასთან ოსმალეთის ჟანდარმერიაში ოთხის ბელგიელ ოფიცრის დანიშვნის შესახებ.

ლონდონი. სოლსბერი გარდაიცვალა.

რომი. ვეზუვი უფრო ძლიერდება. ლეშტერსა და ქვებს 200 მეტრის სიმაღლეზე ისვრის. 10 აგვისტოს, დილის $6^{1}/_{2}$ საათზე მიწის ქვეშიდან გრგვინვა მოისმა.

ბელგრადი. ძველ სერბიის სერბთა და მაკედონიის სასარგებლოდ განზრახული მიტინგი მომავალ კვირამდე გადასდეს.

სტამბოლი. პორტას ცნობებით, რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩებს რამდენიმე სოფელი ოხრიდასა და კიჩევოს კაზების, მონასტირის ვილაეტისა, დამორჩილდნენ და იარაღი მისცეს.

მოსკოვი. ერმოკოვისაგან ღარიბთა სასარგებლოდ დანიშნული 800,000 მანეთი გაიდო ღარიბ მცხოვრებთა თავშესაფარის ასაშენებლად.

ბელგრადი. რადგან ხმა გავრცელდა ფინანსთა სამინისტროში ბოროტ-მოქმედების შესახებ, შესდგა კომისია, რომელმაც აქამომდე ვერ აღმოაჩინა თვალსაჩინო დანაკლისი. მეფე პეტრემ თავის არჩევის სახსოვრად ოქროს მედალი დააარსა.

სტამბოლი. სამსახურში მოწვეულ ალბანელ რედიფებმა შესამჩნევის ხალისით აასრულეს ბრძანება ჯარში გაწვევის შესახებ, რასაც იმით ხსნიან, რომ იმათ შორის ხმა გავრცელდა, ვითომ მაკედონიის მოძრაობა ბოლგარიასთან ომს გამოიწვევსო.—ოსმალეთის ცნობებით, მეამბოხე აპბოხება რაზმებმა გამოიწვიეს კირკ-კილისს სანჯაკში ადრიანოპოლის ვილაეტში; რამდენიმე სოფელი გადასწვეს და გაცარცვეს. ტელეგრაფის მუშაობა ადრიანოპოლსა და კირკ-კილისს შუა შეწყვეტილია.

რომი. მენოტტი გარიბალდი გარდაიცვალა.

პსკოვი. ხელმწიფე-იმპერატორმა, ხელმწიფე-იმპერატრიცამ და ხელმწიფის საგვარეულოს პირებმა ქალაქი გაახედნიერეს ხილვით. $12^{1}/_{2}$ საათზე მათ უდიდებულესობათ მოხელეები მიიღეს, შემდეგ სობოროში მობრძანდნენ. პსკოვის ეპისკოპოსი სერგი სიტყვით მიეგება. მესამე საათზე შეიკრიბა ცეცხლის მქრობელი რაზმი და 350 ყმაწვილი „მაიჩის კავშირის“ საზოგადოებისა. ერთმა ყმაწვილმა პურ-მარილი მიართვა. მათ უდიდებულესობათ მქრობელი რაზმი დაათვალიერეს და ჰაგანკის დარბაზების ნახვის შემდეგ ინახულეს თავად-აზნაურობა მათვე საკრებულოში. თავად-აზნაურობა რომ მიეგება, ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა:

„ბატონებო, ხელმწიფე-იმპერატრიცას და ჩემის მხრით გულწრფელ მადლობას გიძღვნით გულითად, ნამდვილ-რუსულ დახვედრისათვის, რომელიც ამ კედლებში გაგვიმართეთ. გსვამ სადღეგრძელოს პსკოვის თავად-აზნაურობის აყვავებისათვის. თქვენი სადღეგრძელო, ბატონებო“.

შემდეგ მათი უდიდებულესობა სპასო-მიროჟის მონასტერში წაბრძანდნენ, გზაში საერო სასწავლებლის მოსწავლეები იყვნენ გამწკრივებულნი. შემდეგ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ კადეტთა კორპუსის ბანაკს გაუარეს და სადგურზე წაბრძანდნენ, იქიდან—ტოროშინოს. დარი კარგი იდგა. ხალხი აუარებელი გროვდება. ჩინებული წესიერებაა. ხალხი იშვიათ აღტაცებით ეგებება მათ უდიდებულესობათ. ქალაქი ლამაზად არის მორთული. გზაზე რამდენიმე კამარაა გამართული. საღამოზე პსკოვი გაჩირაღდნეს.

სოფია. ადრიანოპოლის ვილაეტში ამბოხება ძლიერდება. კრუშევო და კიჩევო მეამბოხეებმა მიატოვეს, მაგრამ მიდამოები, ბაბაპლანიდის ორივე ფერდობი და პელისტერის რაიონი იმათ ხელშია.—უსკიუბში დიდი მღელვარებაა, რადგანაც ოსმალებმა მეჩეთებში ბჭობა გამართეს და ქრისტეანებს ამოწყვეტას უპირებენ. სოფლებში ხალხს ჰყვლეფენ, აწვალებენ. მართალი გამოდგა, რომ ადრიანოპოლის ვილაეტის ლოზენგრადის სენჯაკში, სადაც 20 სოფელი დასწვეს, მეამბოხეების ახალი რაზმები გამოჩენილა.—დატყვევებული ოსმალები ბურგასს წაიყვანეს და იქ პოლიციამ გაანთავისუფლა.—სამი გერმანელი აფიცერთ მოიარეს ბოლკანები, პლევნა, შიპკა და იქიდან დაბრუნდნენ.

ბერლინი. მინისტრ-პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრი საარჩევნო მოგზაურობას შეუდგნენ.

პეტერბურგი. დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძის მეუღლეს მარიამს ქალი ეყოლა და სახელად უწოდეს ქსენია. დიდი მთავრინა და უმაღლესად ახლად დაბადებული კარგად არიან.

მესამე გაფრთხილება გამოეცხადა ჟურნალ „ხოზიაინს“ და შეჩერებულ იქმნა იმის გამოცემა ერთის თვით.

პარიზი. ტერეზა და ფრიდერიკ ემბერებს თითოს ხუთის წლით დაპატიმრება და ასი ფრანკი ჯარიმა მიუსაჯეს; ემილ დორინიაკს—2 წლით და რომენ დორინიაკს—3 წლით ციხეში დაპატიმრება.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობისთვის საჭიროა ცარიელი ადგილები ან დიდი ეზოები იმ მასალის დასაწყობად, რომელიც საჭიროა ქუჩების მოსაკირწლავად და შესაკეთებლად. ამიტომ გამგეობა წინადადებას აძლევს ასეთ ადგილების ან ეზოების პატრონთ შემოიტანონ განცხადებანი ქუჩების მომკირწვლელ კომისიის თავმჯდომარის სახელობაზე 20 აგვისტომდე.

შემდეგი პირობანი აუცილებლად საჭიროა: 1. თავისუფალი ეზო ან ცარიელი ადგილი არ უნდა იყოს 300 ოთხ-კუთხ საჟენზე ნაკლები. სასურველია 600-მდე საჟენი იყოს; 2. საწყობებისთვის ადგილები საჭიროა: პოლიციის მეოთხე ნაწილში; პირველ ნაწილში (ვერაზე); მეექვსე ნაწილში (სასურველია ვორონცოვის შოსსეს მახლობლად); დიდუბეში (ვოკზლის ან ლიანდაგის მახლობლად); ავლაბარში (კახეთის შოსსეს მახლობლად); პოლიციის მეხუთე ნაწილში. 3. ადგილები საწყობებისთვის შემოღობებული უნდა იყოს ქვის ან ქვითკირის კედლით. უნდა ჰქონდეს სადარაჯო ბუდკა ალაყაფის კარებთან და ოთახი სამზარეულოთურთ. 4. ვადა დაქირავებისა 3—4 წელიწადი იქმნება. ქირას ქალაქი ნახევარ წლობით გადაიხდის წინდაწინ. 5. მესამე მუხლი სავალდებულო არ არის, რადგან თუ ვადა 3—5 წელიწადი იქმნება, შენობანი ქირის ფულით თვით ქალაქის გამგეობას შეუძლიან აგოს. (3—6.—3)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მისის მაღალ აღმატებულების ბატონ ფინანსთა მინისტრის თანხმობით, ამიერიდან ქალ. ტფილისის მესამე სესხის ობლიგაციები გაუქმებულია. ეს ობლიგაციები მოპარულია 1901 წელს 23 სექტემბერს ქალაქის გამგეობის კასიდან 1000 მანეთიან ღირებულობისა, სულ 592,000 მანეთისა ამ №№-ით: 155—159, 161—346, 348—457, 459—581 და 583—750, სულ 592 ფურცელი.

გაბათილებული ობლიგაციები შემოწმებული არ არის გამგეობის ბუხჰალტერის მიერ და არ აზის რიგის ნომრები. აწერია მხოლოდ შემდეგი: ტფილისის ქალაქის მოურავი **გ. ევანგულოვი.** გამგეობის წევრნი **თავ. ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, თავ. გ. ჩერქეზიშვილი. გ. ხოსროევი;** კუპონებსა და ტალონებზე-კი—ტფილისის ქალაქის მოურავი **გ. ევანგულოვი.**

ამ გაუქმებულ ობლიგაციების ნაცვლად გამოცემულ იქმნა ახალი ობლიგაციები მესამე სესხისავე შესაფერ კუპონებითა და ტალონებით; ამასთან ამ ობლიგაციებს აწერია: ტფილისის ქალაქის მოურავის თან. აღმ. **მ. შესტაკოვი,** გამგეობის წევრნი **თავ. გ. ჩერქეზიშვილი, ტ. ენფიაჯიანცი, გ. ხოსროევი,** ხოლო კუპონებს და ტალონებს—ტფილისის ქალაქის მოურავის თან. აღმასრულებელი **მ. შესტაკოვი.**

ახალ ობლიგაციების ნიშნები იქნება სახელმწიფო ბანკსა და ყველა იმის განყოფილებაში. (3—6.—2)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა 1903 წლის 12 აგვისტოს შუადღის 12 საათისთვის **დანიშნულია საჯარო ვაჭრობა.** გაიცემა იჯარა 400 ოთხ-კუთხ საჟენამდე შეშის დასამზადებლად ქალაქის დაწესებულებებისა, ტფილისის ადგილობრივ კომანდისა და საკომენდანტო გამგეობისთვის.

მსურველთ პირობების გასინჯვა შეუძლიანთ გამგეობის პირველ განყოფილების კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ნაშუადღევის ორ საათამდე. (3—6.—2)

ცინკოგრაფია
წიგნ. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა
ბანკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 373.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

Дозв. ценз. Тифлисъ, 10 Августа, 1903 г.
ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.
(Электропеч. Груз. Издат. Т—ва)